პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---თებერვალი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. თბილისის სატრანზიტო გზის უსახელო მონაკვეთისთვის, დიდგორის ქუჩისთვის და ხიდის ქუჩისთვის თბილისის შემოსავლელი გზატკეცილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

2. გლდანის რაიონში, ე.წ. თბილისის სატრანზიტო გზის უსახელო მონაკვეთს, დიდგორის ქუჩას და ხიდის ქუჩას მიენიჭოს თბილისის შემოსავლელი გზატკეცილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲜᲝᲗᲔᲡᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲑᲐᲜᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

თბილისის შემოსავლელი გზატკეცილი

მასშტაბი: 1:20.000

0 0.0075 0.015 0.03 0.045 0.06 km

Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38N
EPSG: 32638

სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

23 / თებერვალი / 2024 წ.

KA011707140631324

№ **42067**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს
მის: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2024 წლის 21 თებერვალს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M24003184 განცხადებით მომართა მოქალაქე ლევანი თუმანიშვილი (პ/ნ: 13001060537) რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, სოფელი, გლდანის ტერიტორია (საკადასტრო კოდით N 72.13.33.196).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N 72.13.33.196) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

24 / ოქტომბერი / 2024 წ.

KA011779490868224

№ **242451**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2024 წლის 23 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს M24007047 განცხადებით მომართა მოქალაქე ქეთევან ქავთარაძემ (პ/ნ: 01024078490) რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი , გლდანი (საკადასტრო კოდით 01.72.13.373.002).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთების (საკადასტრო კოდით N 01.72.13.373.002) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032430544**
თარიღი: **31/10/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2024 წლის 24 ოქტომბრის საქმე #06-0324298123-03 დაკავშირებით, რომლითაც ქეთევან ქავთარაძის M24007047 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია გლდანში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება (ს.კ.01.72.13.373.002).
ზემოხსენებული ტერიტორიის შემდგომი სახელდების მიზნით, მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ თბილისის ე.წ. შემოვლითი გზის [ს 9] [E 60] [E 117] ავტომაგისტრალის სიტუაციური ნახაზი (ავჭალის ტერიტორიიდან 72.13.16.467 საკადასტრო ერთეულთან არსებული გზაჯვარედინი).
აქვე გაცნობებთ, რომ სიტუაციური ნახაზის მომზადების შემდგომ საკითხის დღის წესრიგში შეტანამდე კომისია კონსულტაციებს გაივლის ასევე რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან.

დანართი 2(ორი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032434417**
თარიღი: **09/12/2024**

ადრესატი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (მოქმედი)

როგორც მოგეხსენებათ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი თბილისის შემოვლითი საერთაშორისო გზის სახელდებასთან დაკავშირებით.
მოგმართავთ თხოვნით, გვაცნობოთ თქვენი პოზიცია გზის დანართში მითითებული სიტუაციური ნახაზის შესაბამისად სახელდების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01243251358**
თარიღი: **20/11/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსახელდებისა და

სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარეს - ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ კომპეტენციის ფარგლებში განიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრირებული წერილი (N14-01243053015-16), რომლითაც მოთხოვნილია თბილისის ე.წ. შემოვლითი გზის ავტომაგისტრალის სიტუაციური ნახაზი (ავჭალის ტერიტორიიდან 72.13.16.467 საკადასტრო ერთეულთან არსებული გზაჯვარედინიდან ს/კ.01.72.13.373.002 ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიამდე).

პასუხად გიგზავნით დაინტერესებული არეალისთვის საილუსტრაციო PDF რუკას. გთხოვთ, იხილოთ დანართი 1.

დანართი: 1 - PDF ფაილი

პატივისცემით,

ოთარ ჩიტიძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი